



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობები
დოქტორანტურა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 12-27.07.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი - 30.08.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	21
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	22
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	27

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი მანველიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსი- ტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საერთაშორისო ურთიერთობები
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	III (დოქტორანტურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი PhD in International Relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები / Political Sciences and Civics (0312.1.2 საერთაშორისო ურთიერთობები / International Relations)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი - 40 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №171, 21/11/2018
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

o ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის (შემდგომში - შესაბამისობის) შეფასების მიზნით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) მიერ წარმოდგენილ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას „საერთაშორისო ურთიერთობები“ (შემდგომში - პროგრამა) 2018 მიენიჭა აკრედიტაცია (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №171, 28/11/2018).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში პროგრამის ცალკეული ასპექტები დარჩა უცვლელი (მაგ., პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კვლევის სფერო, პროგრამის სტრუქტურა), გარკვეულმა ასპექტებმა კი ცვლილებები განიცადეს (მაგ., მოდიფიცირდა პროგრამის მოზნები და შედეგები, გარკვეული ცვლილებები განიცადა პროგრამის სასწავლო კომპონენტმა).

წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია:

- o პროგრამის სტრუქტურა - სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი;
- o პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა - 40 ECTS-ის კრედიტი (1 ECTS-ის კრედიტი = 25 სთ), მათ შორის: 25 კრედიტი - სავალდებულო ნაწილი (სასწავლო კურსები, დარგობრივი სემინარი, პროფესორის ასისტენტობა), 15 კრედიტი - არჩევითი ნაწილი (სასწავლო კურსები, დარგობრივი სემინარი);
- o პროგრამის კვლევით კომპონენტში მოიაზრება: სამეცნიერო კვლევითი პროექტი-1, სამეცნიერო კვლევითი პროექტი-2, სამეცნიერო კვლევითი პროექტი-3, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. ასევე, თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დოქტორანტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება (დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში);
- o პროგრამის სწავლების ენა - ქართული;
- o სწავლების ხანგრძლივობა - მინიმუმ 3 აკადემიური წელი (6 სემესტრი).
- o აკადემიური წლის სტრუქტურა - აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან;
- o პროგრამის დამტკიცება: მოდიფიცირებული პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილების ნომერი: 58/2023 - 12/06/2023);
- o პროგრამის ამოქმედების თარიღი: მოდიფიცირებული პროგრამა ამოქმედდება 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

○ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში დაწესებულება) „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამების შემოწმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი (ასევე დამატებით გამოთხოვილი) დოკუმენტაციის საფუძველზე დაევალა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანებით (№835433) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (ირაკლი მანველიძე, თავმჯდომარე; თამარ გვიანიშვილი, წევრი). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოახდინეს მოსაზრებების და მიგნებების ურთიერთგაცვლა, შეფასების შედეგების საბოლოო შეჯერება და წინამდებარე დასკვნის ჩამყალიბება.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასებისათვის შესწავლილია პირველი და მეორე სტანდარტები სრულად და მეოთხე სტანდარტის 4.1, 4.2, 4.3 ქვესტანდარტები.

არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა 2023 წლის 12-27 ივლისს.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

I სტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

II სტანდარტი (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.4. სტუდენტების შეფასება - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

IV სტანდარტი (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 4.1. ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

• რეკომენდაციები

2. 4

- თუ პროფესორის ასისტენტობა ხორციელდება და ფასდება მხოლოდ „პროფესორის ასისტენტობის“ სილაბუსის საფუძველზე, მაშინ რეკომენდებულია სილაბუსში მიეთითოს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის, კომპონენტების, მეთოდების, კრიტერიუმებისა და შეფასების ქულათა გრადაციის შესახებ ან დაერთოს შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის გამჭვირვალობას.

○ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.3.

- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასებას უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტი „საერთაშორისო ურთერთობების სადოქტორო პროგრამა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“ (თითოეული სწავლის შედეგისთვის მითითებულია ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე კურსი/კვლევის კომპონენტი, შეფასების ფორმა/აქტივობა, სამიზნე ნიშნული), მიზანშეწონილია მომავალში თვითშეფასების ანგარიშის დანართი 2.2 გაუქმდეს ან მოვიდეს შესაბამისობაში ზემოთ მითითებულ დოკუმენტთან.

1.4.

- მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო გეგმაში მკაფიოდ მიეთითოს სავალდებულო და არჩევითი „დარგობრივი სემინარების“ განმასხვავებელი ასპექტები (სავალდებულო „დარგობრივი სემინარის“ შემთხვევაში მიეთითოს, რომ სემინარი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი, ხოლო არჩევითი „დარგობრივი სემინარის“ შემთხვევაში - რომ სემინარი უნდა მომზადდეს დისერტაციის მომიჯნავე თემაზე).

4.2.

სასურველია დარგობრივი მიმართულებით გაიზარდოს აკადემიური აფილირებული და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

○ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

-

○ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა და იმსჯელა „საერთაშორისო ურთერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციაზე (იხ. სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის MES 5 23 0001024288, 23/08/2023 წერილის დანართი), რის შედეგად:
- 1) გარკვეულწილად გაიზარა დაწესებულების არგუმენტები და განმარტებები #1 რეკომენდაციასთან („რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კომპონენტის სტრუქტურაში მკაფიოდ განისაზღვროს „დარგობრივი სემინარის“ სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი), რათა გამოირიცხოს მისი შეთავაზება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სახით, ასევე, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ნაწილის სტრუქტურა“) დაკავშირებით და გააუქმა აღნიშნული რეკომენდაცია. ამავდროულად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ყველა დაინტერესებული პირისთვის ინფორმაციის სიცხადისთვის მიზანშეწონილია სავალდებულო „დარგობრივი სემინარის“ შემთხვევაში მიეთითოს, რომ სემინარი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი, ხოლო არჩევითი „დარგობრივი

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

სემინარის“ შემთხვევაში - რომ სემინარი უნდა მომზადდეს დისერტაციის მომიჯნავე თემაზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე: 1) გაუქმდა დასკვნის პროექტში არსებული #1 რეკომენდაცია და, შესაბამისად, ქვესტანდარტი #1.4 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2) ექსპერტთა პოზიცია ჩამოყალიბდა რჩევის სახით: „მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო გეგმაში მკაფიოდ მიეთითოს სავალდებულო და არჩევითი „დარგობრივი სემინარების“ განმასხვავებელი ასპექტები (სავალდებულო „დარგობრივი სემინარის“ შემთხვევაში მიეთითოს, რომ სემინარი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი, ხოლო არჩევითი „დარგობრივი სემინარის“ შემთხვევაში - რომ სემინარი უნდა მომზადდეს დისერტაციის მომიჯნავე თემაზე)“.

- 2) არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტები და განმარტებები #2 რეკომენდაციასთან („თუ პროფესორის ასისტენტობა ხორციელდება და ფასდება მხოლოდ „პროფესორის ასისტენტობის“ სილაბუსის საფუძველზე, მაშინ რეკომენდებულია სილაბუსში მიეთითოს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის, კომპონენტების, მეთოდების, კრიტერიუმებისა და შეფასების ქულათა გრადაციის შესახებ ან დაერთოს შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის გამჭვირვალობას“) დაკავშირებით შემდეგი გარემოებების გამო: ექსპერტები არ უარყოფენ, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პასუხის დანართად დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტში „დანართი #5. პროფესორის ასისტენტობა“ მითითებულია აქტივობები, რომლებიც წარმოადგენენ შეფასების კომპონენტებს (მაგ., სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, სხვ.). ამავდროულად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ აქტივობის შესრულების ხარისხის (დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის) დადგენის ინსტრუმენტები - შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმების ქულაობრივი ექვივალენტები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა უცვლელად დატოვა დასკვნის პროექტში (შესაბამისად, წინამდებარე დასკვნაშიც) მითითებული #2 რეკომენდაცია და ქვესტანდარტის #2.4 შეფასება "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, კერძოდ

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში მოდიფიცირდა პროგრამის სწავლის მიზნები, რის შედეგადაც ისინი უფრო ნათლად ჩამოყალიბდა და ლოგიკურად დაკავშირდა პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კურსდამთავრებულის მომზადებას, რომელიც შეძლებს საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე თეორიების კრიტიკულად შეფასებას, მათი ძირითადი პოსტულატების სიღრმისეულად გააზრებას და გამოყენებას; მოცემულ დარგში ახალი ცოდნის გენერირებას, სინთეზს და უახლესი დარგობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ორიგინალური შეხედულებების ან/და მეცნიერული მოსაზრების ჩამოყალიბებას; საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად ჩატარებას, ანალიტიკური და პროფესიული სამუშაოს შესრულებას სახელმწიფო და დიპლომატიურ სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებას უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებით; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სათანადო კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით აკადემიური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებას და მიღებული მონაცემების კრიტიკულ გაანალიზებას და ა.შ.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, პროგრამის მიზნები მიმართულია დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი მკვლევარის მომზადებაზე. პროგრამის მიზნები სწავლის შედეგის კონტექსტით ასახავს, რომ პროგრამის მიზანი სფეროს ფუნდამენტური ცოდნის გადაცემა და დარგობრივ ჭრილში შესაბამისი უნარების განვითარებაა. პროგრამის მიზნები ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში თუ რა ფუნდამენტურ თეორიულ ცოდნას, უნარებს და უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ კურსდამთავრებულს ამზადებს აღნიშნული პროგრამა, და, აქედან გამომდინარე, ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენციალი აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, რაც პასუხობს დაწესებულების მისიას. პროგრამაში წარდგენილი კომპონენტების ერთობლიობა იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. ხაზგასასმელია, რომ პროგრამის მიზნების შემუშავების დროს

გათვალისწინებულია საუკეთესო გამოცდილება, რომელიც მოპოვებულია პროგრამის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის წარმომადგენლების და დოქტორანტების საერთაშორისო თანამშრომლობაში აქტიური ჩართვის მეშვეობით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი თავად არის სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების მონაწილე, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას. პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო პარტნიორების რჩევებისა და გამოცდილების გათვალისწინებით (ოქსფორდის უნივერსიტეტი). მოცემული „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა გამოირჩევა ჩამოყალიბებული კონცეპტუალური ხედვით, მისი განხორციელებისთვის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალით და ფარავს მის ყველა მიმართულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- დოკუმენტი - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც დოქტორანტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების მომენტისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური ხასიათი. ისინი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას/ავტონომიურობას, რომელიც უნდა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მიერ საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ცოდნის შექმნის მიზნით. ამდენად, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში აქცენტი კეთდება საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე თეორიების კრიტიკულად შეფასებასა და მათი ძირითადი პოსტულატების სიღრმისეულად გააზრებაზე. პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ დარგში არსებული ცოდნის გაფართოების

აუცილებლობის მნიშვნელობის და განვითარების თაობაზე მსჯელობის არგუმენტირებულ ჩამოყალიბებას არსებულ დარგობრივ ლიტერატურასა და კომპლექსური, წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზის მეშვეობით.

პროგრამა აყალიბებს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში შემდეგ უნარებს: კვლევის დაგეგმვა და განხორციელება სფეროსთვის რელევანტური თანამედროვე კვლევის მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ახალი ცოდნის გაზიარება ზეპირი და წერილობითი ფორმით ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში, მათ შორის, კვლევის შედეგების წარმოდგენა საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის სახით; სააუდიტორიო სწავლების უნარის და გამოცდილების მიღება და სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება.

ავტონომიურობის/პასუხისმგებლობის ნაწილში პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების დარგის კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დაგეგმვა და განხორციელება, ასევე, ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელებისას კვლევის ეთიკის ნორმების დაცვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების (შემდგომში - პროგრამის შედეგები) მიღწევის კონტროლის მექანიზმებად გამოიყენება: 1) პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა (იხ. დანართი #2.3 - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა“), 2) პროგრამის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის დადგენა - სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრულია მათ ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები და მათი მონაწილეობის დონე - „გაცნობა“, „გაღრმავება“, „განმტკიცება“ (იხ. დანართი #2. 1 - სწავლის შედეგების და კომპონენტების ურთიერთშესაბამისობის სქემა). ასევე, პროგრამის თითოეული შედეგისთვის განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტები, შემფასებლები და შედეგის მიღწევის მტკიცებულებები (იხ. დანართი #2.2 - შედეგები, შემფასებელი,

სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებები), თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ცხრილში არსებული ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას, რადგან: რიგ შემთხვევაში, პროგრამის შედეგების მიღწევის დადასტურება ხდება ისეთი „მტკიცებულებებით“ (მაგ., „ა. სადოქტორო პროგრამის აღწერლობა; ბ. სწავლის შედეგების რუკა“ - შედეგები #1, 2, 3, 4, 7, 8, 9), რომლებიც არ წარმოადგენენ პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად ეფექტიან საშუალებას/საშუალებებს; რიგ შემთხვევაში, შედეგების ფორმირებაში, გარდა სავალდებულო კომპონენტებისა, ასევე მონაწილეობენ პროგრამის არჩევითი კურსებიც (მაგ., შედეგი #1 - არჩევითი სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე თეორიები“, შედეგის მიღწევის ერთ-ერთი მტკიცებულება - „გ. შესაბამისი კურსების სილაბუსები და მათში იდენტიფიცირებული სწავლის შედეგები“; შედეგი #2 - არჩევითი სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“, შედეგის მიღწევის ერთ-ერთი მტკიცებულება - „გ. შესაბამისი კურსების სილაბუსები და მათში იდენტიფიცირებული სწავლის შედეგები“). წარმოდგენილი დანართი მიზანშეწონილია გაქუმდეს ან დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს:

- დაწესებულების მიერ უშუალოდ პროგრამისთვის შემუშავებულ დოკუმენტთან „საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“, რომელშიც თითოეული სწავლის შედეგისთვის მითითებულია როგორც ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე კურსი/კვლევის კომპონენტი, ისე შეფასების ფორმა/აქტივობა, სამიზნე ნიშნული.
- დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება“ არსებულ მიდგომებთან - „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად (რაც საუკეთესო პრაქტიკადაა მიჩნეული), ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას“ (იხ. გვ. 15).

დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (იხ. „პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება“; „საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“) დასტურდება, პროგრამების შეფასების პროცესი არის რეგლამენტირებული, მეთოდოლოგიურად მოწესრიგებული, ატარებს კომპლექსურ ხასიათს და ითვალისწინებს პროგრამის განათლების საფეხურს. შეფასების პროცესში გამოიყენება პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შემთხვევაში განსაზღვრულია თითოეული შედეგის ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსი/კვლევითი კომპონენტი, შეფასების ფორმები/აქტივობები, სამიზნე ნიშნულები, შედეგების მიღწევის დონე ექვემდებარება შესწავლას, რაც წარმოდგენილია დოკუმენტში „საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“ (იხ. რუბრიკა „სამიზნე ნიშნულების მიღწევის მაჩვენებელი“; ცხრილში „2019-2023 წლებში სასწავლო და კვლევით კომპონენტებზე დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა და მათი შედეგები“).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიშის დანართი 2.1 (სწავლის შედეგების და კომპონენტების ურთიერთშესაბამისობის სქემა);
- თვითშეფასების ანგარიშის დანართი 2.2 - შედეგები, შემფასებელი, სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებები;
- თვითშეფასების ანგარიშის დანართი 2.3 (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა);
- პროგრამის კურიკულუმი;
- „პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება“ (დამატებით წარმოდგენილი);
- „საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“ (დამატებით წარმოდგენილი).

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასებას უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტი „საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“ (თითოეული სწავლის შედეგისთვის მითითებულია ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე კურსი/კვლევის კომპონენტი, შეფასების ფორმა/აქტივობა, სამიზნე ნიშნული), მიზანშეწონილია მომავალში თვითშეფასების ანგარიშის დანართი 2.2 გაუქმდეს ან მოვიდეს შესაბამისობაში ზემოთ მითითებულ დოკუმენტთან.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აერთიანებს სასწავლო კომპონენტს და კვლევით კომპონენტს:

- სასწავლო კომპონენტის მოცულობაა 40 კრედიტი, მათ შორის: 35 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები“ (5 კრედიტი), დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი), პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი); 15 კრედიტი - 2 არჩევითი სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე თეორიები“ (5 კრედიტი) და „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ (5 კრედიტი), დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი) და „თსუ-ს, საქართველოს სხვა უსდ-ში ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსი“ (5 კრედიტი). თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ:
 - პროგრამის კურიკულუმში და თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია განსხვავებული ინფორმაცია პროგრამის არჩევითი ნაწილის შესახებ, კერძოდ: 1) პროგრამის კურიკულუმში - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 2 სასწავლო კურსი (სულ 10 კრედიტი), დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი) და „თსუ-ს, საქართველოს სხვა უსდ-ში ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსი (5 კრედიტი); 2) თვითშეფასების ანგარიშში - მითითებულია სასწავლო კურსები (სულ 10 კრედიტი) და დარგობრივი სემინარი 15 კრედიტი ან თსუ-ს, საქართველოს სხვა უსდ-ის ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსები;
 - გარკვეულ გაუგებრობას იწვევს „დარგობრივი სემინარის“ (15 კრედიტი) შეთავაზება როგორც სავალდებულო, ისე არჩევით ნაწილში (წარმოდგენილი სილაბუსის „დარგობრივი სემინარი“

თამახმად, ეს არის სავალდებულო კომპონენტი). ასევე, თუ „დარგობრივი სემინარი“ არ წარმოადგენს არჩევით კურსს, მაშინ პროგრამის კურიკულუმის სასწავლო გეგმით შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების (10 კრედიტი) და „თსუ-ს, საქართველოს სხვა უსდ-ში ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსის“ (5 კრედიტი) კრედიტების ჯამური რაოდენობა გაუტოლდება პროგრამის არჩევითი ნაწილისთვის დადგენილ მოცულობას (15 კრედიტი), რითაც გამოირიცხება არჩევანის შესაძლებლობა და შესაბამისობა კანონმდებლობით („სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“, მ.6, პ.6) დადგენილ მოთხოვნას, რომლის თანახმად „ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. ... თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს“.

- პროგრამის კვლევით კომპონენტში მოიაზრება: სამეცნიერო კვლევითი პროექტი-1, სამეცნიერო კვლევითი პროექტი-2, სამეცნიერო კვლევითი პროექტი-3, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. ასევე, თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დოქტორანტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება (დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში).

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით დასტურდება პროგრამის შესაბამისობა საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი („პროგრამის სტრუქტურა“);
- სილაბუსი „დარგობრივი სემინარი“.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო გეგმაში მკაფიოდ მიეთითოს სავალდებულო და არჩევითი „დარგობრივი სემინარების“ განმასხვავებელი ასპექტები (სავალდებულო „დარგობრივი სემინარის“ შემთხვევაში მიეთითოს, რომ სემინარი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი, ხოლო არჩევითი „დარგობრივი სემინარის“ შემთხვევაში - რომ სემინარი უნდა მომზადდეს დისერტაციის მომიჯნავე თემაზე).

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც დადგინდა შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს, სწავლების ფორმატს და კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში კურსებს გააჩნიათ კრედიტებით დატვირთვა, დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების გადანაწილება, ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსი.

სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია საკვანძო როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო მასალა წარმოდგენილ სილაბუსებში დოქტორანტს საშუალებას აძლევს, დაეუფლოს საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური საკითხების შესწავლას და შემდგომ დისციპლინაში არსებული კვლევების და მიღწევების კრიტიკულ გაანალიზებას, ასევე კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში ლიტერატურის განახლება ხდება სისტემატიურად, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სასწავლო კომპონენტების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მითითებულია პროგრამის კურიკულუმში, რომლის თანახმად: პროგრამაზე სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ ან/და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. პრიორიტეტულია მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში ან/და დიპლომატიასა და საერთაშორისო პოლიტიკაში. აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით). აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:

- სამოტივაციო წერილი (აპლიკანტმა უნდა აღწერონ საკუთარი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება, განიხილონ კარიერასთან დაკავშირებული სამომავლო მიზნები და ნათლად ახსნან თუ რატომ სურთ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა. მათ ასევე უნდა მოიხსენიონ საკითხი, რომლის კვლევაც სურთ);
- წერილობითი ნამუშევრის ნიმუში (აპლიკანტმა უნდა წარმოადგინონ ათვერდიანი ნიმუში. განიხილული საკითხები დაკავშირებული უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობებთან);
- წიგნის ერთვერდიანი მიმოხილვა (აპლიკანტებმა უნდა მიმოხილონ ნებისმიერი წიგნი საერთაშორისო ურთიერთობებიდან, რომელიც მათ ბოლო დროს წაიკითხეს. მათ უნდა აღნიშნონ რას ეხებოდა წიგნი, რა ისწავლეს მისგან და რატომ მოეწონათ ან არ მოეწონათ წიგნი);
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;
- სადოქტორო-კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი);

ასევე, აპლიკანტმა უნდა გაიაროს გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტზე - პროსპექტუსზე). სპეციალობაში გასაუბრების შეფასება არის 100-ქულიანი. აპლიკანტის საბოლოო შეფასების 100%-დან 40% არის პროსპექტუსის წონა, 20% წარმოდგენილი სავალდებულო დოკუმენტების შეფასების და 40% - კონკრეტულად გასაუბრების წონა.

პროგრამის კურიკულუმში მითითებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომის დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული პროგრამის კურიკულუმის მეშვეობით, შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

